2-2692/25
03-03-2025

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის

კულტურის კომიტეტის დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების: გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/24; 10.02.2025).**

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა, მიმდინარე წლის 28 თებერვლის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/24; 10.02.2025).

I. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანია კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კულტურის ორგანიზაციის მიერ კულტურულ - შემოქმედებითი თემატიკით დატვირთული რადიომაუწყებლობის ფუნქციონირება. საქართველო, როგორც დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანა, მდიდარია მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლებით. ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა კაცობრიობას შესძინა ხელოვნებისა და კულტურის უნიკალური მემკვიდრეობა, რაც სამეცნიერო კვლევებითა და სხვადასხვა სახის არაერთი საერთაშორისო აღიარებით დასტურდება. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, რომ 2001 წელს, იუნესკომ ქართული მრავალხმიანობა, ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი კულტურის განუყოფელი ნაწილი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელი შედევრების ნუსხაში შეიტანა. კანონპროექტით წარმოდგენილი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მსგავსი რეგულირება და პრაქტიკა ასევე არსებობს განვითარებად

ქვეყნებში. ამასთან, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების მიუხედავად, პირდაპირი რადიომაუწყებლობა დღესაც კომუნიკაციის, საზოგადოების კულტურის ამაღლებისა და ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ანგარიშგასაწევ საშუალებად რჩება.

შემოთავაზებული ცვლილებათა პაკეტით მოწესრიგდება შემდეგი საკითხები:

- კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის დეფინიციის განსაზღვრება;
- მაუწყებლობის სახეობებს დაემატება კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა;
- რადიომაუწყებელი პროგრამებს განათავსებს სახელმწიფო ენაზე;
- ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება ლიცენზიის გაცემის წესი;
- ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება ავტორიზაციის ერთიანი წესი;
- კულტურულ-შემოქმედებით რადიომაუწყებლობაში აიკრძალება ტელეშოპინგის, რეკლამისა და პროდუქტის განთავსება;
- განისაზღვრება კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის დაფინანსების წესი.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით ასევე შემოთავაზებულია თანმდევი ცვლილებები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ, „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახეს, “მაუწყებლობის შესახებ” კანონპროექტის შემუშავების შედეგად კი, საჭირო გახდა ზემოაღნიშნულ კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელება. ამასთანვე, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთები) მე-14 პუნქტს, ემატება ბ[1] ქვეპუნქტი **(კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზიის საფასური),** რაც კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის განმახორციელებელი რადიომაუწყებლისათვის ადგენს სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთს.

II. კომიტეტის შეფასება

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიღების შედეგად, შესაბამის კულტურის ორგანიზაციას, შესაძლებლობა ექნება განახორციელოს კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კულტურის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას, საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთანვე, ზემოაღნიშნული რადიომაუწყებლობის ფუნქციონირება წაახალისებს დეცენტრალიზაციის პროცესს, ახალი კულტურულ-შემოქმედებითი იდეების დაბადებას, განვითარებას, ხორცშესხმასა და ჩვენი ქვეყნის კულტურულ სივრცეში აკუმულირებას.

ამრიგად, კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

კულტურის კომიტეტმა, განხილვის შედეგად მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრების: გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებს: **„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/24; 10.02.2025)** და მომზადებულად ცნო პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
გიორგი გაბუნია